

საქართველო


2018 წელს საგარეო მოთხოვნის ზრდის შედეგად, ეკონომიკური ზრდა შენარჩუნდა 4.8%-ზე, შემცირებული ფისკალური ხარჯების მიუხედავად. ინფლაცია ორზე მეტად შემცირდა, ხოლო ტურიზმისა და ექსპორტის სწრაფმა ზრდამ შეამცირა მიმდინარე ბალანსის დეფიციტი. 2019 წელს მოსალოდნელია 5.0%-იანი ზრდა, უფრო მაღალი საინვესტიციო ხარჯებით, 2020 წლის ზომიერ ხარჯებთან შედარებით. ინფლაცია ოდნავ მაღალი იქნება. უფრო მრავალფეროვან და ანაზღაურებად საქმიანობებში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, უნდა მოხდეს მუშახელის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

ეკონომიკური მდგომარეობა

2018 წელს 4.8%-იანი საერთო ზრდა დაფიქსირდა, ექსპორტის და ტურიზმის ზრდის წყალობით, ინფრასტრუქტურული პროექტების ნელი განხორციელებისა და რეგიონში, კერძოდ მეზობელ თურქეთში არასტაბილური მდგომარეობის მიუხედავად. მიწოდების მხრივ, მრეწველობის კუთხით ზრდამ მკვეთრად იკლო 2017 წლის 6.4%-დან 2.3%-მდე, რადგან მშენებლობის სექტორმა 2.5%-იანი კლება აჩვენა, კაპიტალური დანახარჯების შემცირების გამო წარმოება კი 4.1%-მდე, ხოლო სამთო მრეწველობა 10.8%-მდე გაიზარდა. ამავდროულად, დაფიქსირდა მომსახურების მხრივ ზრდა 2017 წლის 5.1%-დან 5.9%-მდე, რაც განპირობებული იყო ვაჭრობის სფეროში 4.5%-იანი ზრდით, დაფინანსების სფეროში 17.9%-იანი ზრდით, ხოლო უძრავი ქონების სფეროში 9.8%-იანი ზრდით. სოფლის მეურნეობის სფეროში 2017 წლის 3.8%-ით კლების შემდეგ 0.4%-ით ზრდა დაფიქსირდა, რადგან მოსავლის ზრდაზე ამინდების გაუმჯობესებაც აისახა (გრაფიკი 3.3.1).

მოთხოვნის მხრივ, მოხმარების კუთხით მოსალოდნელი ზრდა თითქმის გასამმაგდა 2017 წლის 0.5%-დან 1.4%-დე, რადგან მაღალი შემოსავლების გამო კერძო მოხმარება 2.5%-ით გაიზარდა, ხოლო სახელმწიფო მოხმარება შემცირდა 2.5%-ით. ინვესტიციების ზრდა მოსალოდნელია 3.8%-დან 4.8%-მდე, სახელმწიფო ინვესტიციების შენელების მიუხედავად. თუმცა, წმინდა ექსპორტის მოსალოდნელმა ზრდამ, 20.1%-დან 17.8%-მდე იკლო, რადგან ექსპორტის კუთხით ზრდა შემცირდა იმპორტის კუთხით ზრდის დაჩქარებასთან ერთად.


3.3.1. მშპ-ის ზრდა სფეროების მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ADB-ის შეფასებები (შესვლა 22 თებერვალი 2019)

საშუალო ინფლაცია ორჯერ მეტად დაეცა 2017 წლის 6.0%-დან 2.6%-მდე, რადგან 2017 წლის უფრო მაღალი აქციზის გადასახადების გავლენა შესუსტდა, ხოლო ქართული ლარი თურქულ ლირასთან მიმართებაში გამყარდა, რამაც გამოიწვია იმპორტირებულ საქონელზე, განსაკუთრებით ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე ფასების შემცირება. საკვების კუთხით ინფლაცია შემცირდა 2017 წლის 6.8%-დან 2.2%-მდე, ხოლო სხვა საქონლის კუთხით 5.0%-დან 1.3%-მდე და მომსახურების მხრივ 4.7%-დან 2.4%-მდე. გარკვეული ფასები უფრო სწრაფად გაიზარდა: ჯანდაცვა 4.8%-ით, ხოლო 2018 წლის იანვარში ელექტროენერგიისა და წყლის ტარიფების ცვლილებების შემდეგ, კომუნალური ხარჯები 4.3%-ით გაიზარდა (გრაფიკი 3.3.2). ძირითადი ინფლაცია, კვებისა და ენერგიის სფეროების გარდა შემცირდა 2017 წლის 4.0%-დან 1.7%-მდე.


3.3.2. ყოველთვიური ინფლაცია



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ADB-ის შეფასებები (შესვლა 7 მარტი 2019)

2018 წლის ზომიერმა ფისკალურმა პოლიტიკამ შეამცირა დეფიციტი, 2017 წლის მშპ-ს ექვივალენტი 0.9%-დან 0.8%-მდე (გრაფიკი 3.3.3). გადასახადების ამოღება შეიზღუდა, რადგან მოხდა ფორმებისთვის დღგ-ის დაჩქარებით ანაზღაურება, რომელიც სავარაუდოდ შეადგენს მშპ-ის 1.3%-ს, რამაც გამოიწვია საგადასახადო შემოსავლების შემცირება მშპ-ის 25.8%-დან 25.4%-მდე - რაც მოსალოდნელზე მცირე ვარდნაა - რამაც მთლიანი შემოსავლები შეამცირა მშპ-ის 28.9%-დან 28.6%-მდე. კაპიტალური ხარჯები წლის ბოლოსკენ გაიზარდა, თუმცა მიმდინარე ხარჯები შედარებით დაბალი იყო, რადგან 2017 წლის დეკემბერში მიღებული საჯარო მოსამსახურეების ანაზღაურების შესახებ კანონი დაეხმარა ადმინისტრაციული ხარჯების შენარჩუნებაში. მთლიანი ხარჯები შემცირდა 2017 წლის მშპ-ს 29.7%-დან 29.4%-მდე. სახელმწიფო ვალი, 2017 წლის ბოლოსთვის არსებული მშპ-ის 44.2%-დან შემცირდა, 43.4%-მდე, ხოლო შიდა სახელმწიფო ვალი 2017 წლის მშპ-ის 9.3% -დან 9.2% -მდე შემცირდა.


3.3.3. ფისკალური ინდიკატორები



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი www.imf.org
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.gov.ge
(ორივე ვებ-გვერდზე შესვლა 22 თებერვალი 2019)

მონეტარული პოლიტიკა მიზნად ისახავდა ზრდის ხელშეწყობას, მაშინ როცა შიდა მოთხოვნა შედარებით დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა - ცენტრალურმა ბანკმა, 2018 წლის ივლისში თავისი რეფინანსირების განაკვეთი შეამცირა 0.25%-ით 7.0%-მდე და შემდგომ 2019 წლის იანვარში 6.75%-მდე, რადგან ეკონომიკური აქტივობა შენედა, მოთხოვნის ზეწოლა ინფლაციაზე შეჩერდა და ლარი ნომინალური ეფექტური სახით, მოსალოდნელზე უფრო სწრაფად გამყარდა, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთში ვალუტების გაუფასურების ფონზე. დაკრედიტების მკაცრი შეზღუდვები ეხებოდა სესხებს, რამაც კრედიტების ზრდა სტაბილურად 22.7%-ზე შეინარჩუნა და მცირედით შეამცირა ფართო ფულის ზრდა 14.7%-მდე (გრაფიკი 3.3.4). დოლარიზაციის შეჩერების მიმართულებით 2017 წელს დაწყებულმა ღონისძიებებმა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი 56.1%-ზე გააჩერა, 2017 წლის 56.3%-თან შედარებით.


3.3.4. კონტრიბუცია ფულის მასი ზრდის კუთხით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge (შესვლა 20 თებერვალი 2019)

ბანკები კვლავაც კარგად კაპიტალიზირებული, რენტაბელური იყო, ადეკვატურობის თანაფარდობით და 18.4%-იანი კაპიტალის ლიკვიდური და 3.0%-იანი აქტივების მოგებით. პრობლემური კრედიტები 2017 წლის 2.8%-დან შემცირდა 2.7%-მდე. სახაზინო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთი 7.2%-მდე შემცირდა. კორპორატიულმა დავალიანებამ 2018 წელს სტაბილური, მშპ-ს 27.9 შეადგინა, ხოლო სამომხმარებლო სესხები გაიზარდა 33.7%-მდე (გრაფიკი 3.3.5).

3.3.5. კორპორატიული და სამომხმარებლო სესხი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge (შესვლა 7 მარტი 2019)

ექსპორტის სწრაფმა ზრდამ შეამცირა ამჟამინდელი საანგარიშო დეფიციტი 2017 წელს მშპ-ს ექვივალენტი 8.8%-დან 8.0%-მდე, მოგების მაღალი რეპატრიაციის მიუხედავად. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი 18.5%-ით გაიზარდა, ხოლო 18.4%-ით ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, რადგან გაიზარდა მოთხოვნა სხვა ბაზრებზე, თურქეთის გარდა რომლის ეკონომიკური კრიზისიც შეეხო საქართველოს მიერ ვაჭრობიდან, ტურიზმიდან და ფულადი გზავნილებიდან მიღებულ შემოსავლებს. იმპორტის მოცულობა 14.6%-ით გაიზარდა, ნავთობის ფასების ზრდის გამო. წმინდა ფულადი

3.3.1. შერჩეული ეკონომიკური ინდიკატორები (%)


	2019	2020
მშპ-ის ზრდა	5.0	4.9
ინფლაცია	3.2	3.0
არსებული ბალანსი (მშპ-ის წილი)	-7.9	-7.8

წყარო: ADB-ის შეფასებები

გზავნილები 15.1%-ით გაიზარდა რეკორდულ 1,4 მილიარდ დოლარამდე, ძირითადად საბერძნეთიდან, ისრაელიდან, იტალიიდან და აშშ-დან.

მიმდინარე ანგარიშის ფინანსირება მეტწილად მოხდა 1.2 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან, ძირითადად მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და ფინანსირების სფეროებში. ლარი აშშ დოლართან მიმართებაში გაძვირდა 2018 წლის პირველ ნახევარში, თუმცა მეორე ნახევრიდან დაიწია და წლის ბოლოსთვის 2.1% შესუსტება დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა რომ ლარი 3.7%-ით გაძვირდა, ნომინალურ ეფექტურ პირობებში და 1%-ით რეალურ ეფექტურ პირობებში დაგამყარდა რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის ვალუტებთან მიმართებაში (გრაფიკი 3.3.6). ცენტრალურმა ბანკმა წლის განმავლობაში შეისყიდა 198 მლნ აშშ დოლარი უცხოურ ვალუტაში, რამაც მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 8.2%-ით გაზარდა, 93% -იანი ადეკვატურობის თანაფარდობისათვის, როგორც ეს განმარტებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. სახელმწიფო და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული საგარეო ვალი ოდნავ შემცირდა 2017 წლის მშპ-ს ექვივალენტი 34.9%-დან 34.2%-მდე.

3.3.6. გაცვლითი კურსი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge (შესვლა 7 მარტი 2019)

ეკონომიკური პერსპექტივები

2019 წელს ზრდა მოსალოდნელია 5.0%-მდე, მაღალი ინფრასტრუქტურული ხარჯებით და შემდეგ კი 2020 წელს მოსალოდნელია 4.9%-მდე მერყეობა, ინვესტიციების მიმართულებით ნაკლები ზრდით (გრაფიკი 3.3.7). წმინდა ექსპორტი, მოხმარება და ინვესტიციები 2019 და 2020 წლებში ზრდას შეუწყობს ხელს, რაც განპირობებული იქნება მაღალი ინფრასტრუქტურული ხარჯებით და ახალი საპენსიო სისტემით, რომელიც ემყარება ბენეფიციართა წინასწარ კონტრიბუციებს, რამაც უნდა გაზარდოს დანაზოგები. მიწოდების მხრივ, საბითუმო და საცალო ვაჭრობისა და ფინანსების ზრდა 2019 წლისთვის 5.5%-ით გაზრდის მომსახურებებს და შემდეგ 2020 წელს შედარებით შემცირდება 5.1%-მდე. მშენებლობების აღდგენა წელს მრეწველობის მიმართულების 5.9%-მდე ზრდას გამოიწვევს, რომელიც მომავალ წელს 5.4% იქნება. შედარებით მაღალმა ინვესტიციებმა, ხელსაყრელ ამინდთან ერთად უნდა დააჩქაროს სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი 2.6%-მდე და შემდეგ 2.8%-მდე.


3.3.7. მშპ-ის ზრდა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ADB-ის შეფასებები

2019 წელს ინფლაცია დაახლოებით 3.2%-მდე გაიზრდება, ხოლო 2020 წელს შედარებით შენელებულა 3.0%-მდე (გრაფიკი 3.3.8). საკრედიტო სტანდარტების შემდგომმა გამკაცრებამ, 2019 წელს 13.0%-მდე, ხოლო 2020 წელს 12.5%-მდე უნდა შეამციროს კრედიტების ზრდა. პურის ფასი იზრდება 2018 წლის დეკემბრიდან და თამბაქოზე უფრო მაღალმა აქციზურმა გადასახადმა შეიძლება გაზარდოს ინფლაციაზე ზეწოლა. ინფლაცია ასევე შეიძლება გაიზარდოს თუ ეკონომიკური ზრდა ან ფასები ნავთობზე ან სურსათზე გადააჭარბებს მოსალოდნელს ან თუ ლარი კვლავ განაგრძობს გაუფასურებას აშშ-სა და ევროპაში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების გამო.

3.3.8. ინფლაცია




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ADB-ის შეფასებები

სტიმულირებად ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე ეტაპობრივად გადასვლა მოსალოდნელია, ზრდის მხრივ მცირე ცვლილებების და შედარებით ნაკლები იმპორტირებული ინფლაციის პირობებში, რაც გამოწვეულია ინფლაციის გლობალური ზრდის შემცირებით. ცენტრალური ბანკი სავარაუდოდ ეტაპობრივად შეამცირებს რეფინანსირების განაკვეთს 6.0%-მდე, 2020 წლის ბოლოსთვის, იმ შემთხვევაში თუ ინფლაციის დონე დარჩება 3.0%-ზე დაბლა. ფულადი მასების (M3) ზრდა ნავარაუდებია რომ შემცირდება 12.0%-მდე 2019-ში და 11.0%-მდე 2020 წელს, რაც აისახება წმინდა უცხოური აქტივების კლებაზე და კერძო სექტორის კრედიტების, განსაკუთრებით სამომხმარებლო კრედიტების ნაკლებ ზრდაზე და ასევე სახელმწიფო საწარმოების ბალანსის შედარებით მკაცრ კონტროლზე. მუდმივი ძალისხმევით სავარაუდოა რომ მოხდება დოლარიზაციის შეჩერება და მსესხებელთა სავალუტო რისკებზე დამოკიდებულების შემცირება, ნაწილობრივ ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებით, რომელიც რეგულირებადი იქნება ზედმეტი საკრედიტო ზრდის პრევენციის მიზნით. სავალუტო ინტერვენცია სავარაუდოდ შეარბილებს გაცვლითი კურსის არასტაბილურობას და გაზრდის საერთაშორისო რეზერვებს.

შემდეგი ორი წლის განმავლობაში, ფისკალური პოლიტიკა გახდება უფრო მზარდი და მოხდება ხარჯების მიმართვა ინფრასტრუქტურასა და განათლებაზე. მოსალოდნელია ფისკალური დეფიციტის უმნიშვნელო ზრდა მშპ-ის 1.0%-მდე როგორც 2019, ისე 2020-ში რაც შესაძლებელს გახდის დამატებითი კაპიტალის დახარჯვას. მიუხედავად იმისა, რომ მოხდება სახელფასო და სხვა მიმდინარე ხარჯების შენარჩუნება, სოციალური ხარჯები სავარაუდოდ გაიზრდება მშპ-ს 0.4%-ით ორივე წლის განმავლობაში, რათა დაფაროს გაზრდილი პენსიები და მასწავლებელთა ხელფასები. კერძო ინვესტიციების ხელშეწყობით, 2018 წელს ამოქმედებული საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ კანონი, სავარაუდოდ, მოახდენს

3.3.9. მთავრობის საერთო ვალი და მთლიანი გარე ვალი




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge
საერთაშორისო სავალუტო ფონდი www.imf.org (ორივე საიტზე შესვლა 7 მარტი, 2019)

გაუთვალისწინებელი ვალდებულებების, არასაბიუჯეტო ოპერაციებისა და საჯარო სექტორის ბალანსის შენარჩუნება-შეკავებას და ამავდროულად სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების მართვის ჩარჩოს გაძლიერებას. მიუხედავად ამისა სახელმწიფო ვალი მიაღწევს მთლიანი შიდა პროდუქტის 43.6% -ის ეკვივალენტს 2019 წელს, სანამ მოხდება მისი მცირედით შემცირება 2020 წელს მშპ-ის 43.3%-მდე (გრაფიკი 3.3.9).

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ნავარაუდებია რომ 2019 წელს შემცირდება მშპ-ის 7.9%-მდე, ხოლო 2020 წელს 7.8%-მდე, რადგან ძლიერი ზრდა მოსალოდნელია ექსპორტის, ტურიზმის და ფულადი გზავნილების მიმართულებით (გრაფიკი 3.3.10). საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ზრდა 2019 წელს მოსალოდნელია 6.1%-ით ხოლო 2020 წელს 11.3%-ით, საქართველოს სავაჭრო პარტნიორების ზრდასთან ერთად. მუდმივი გაფართოების მიუხედავად, იმპორტის ზრდა ორი-მესამედით დაიწევს 2019 წელს 4.7%-მდე, რაც აისახება ნავთობისა და ფარმაცევტული პრეპარატების ნელ ზრდაზე, ხოლო 2020 წელს კვლავ აღდგება და გაიზრდება 8.6%-მდე. 2019 წელს მოსალოდნელია ფულადი გზავნილების 1.3%-მდე შემცირება, რუსეთის ფედერაციის და იტალიის ეკონომიკური ზრდის შემცირების ფონზე, ხოლო 2020 წელს გაიზრდება 6.9%-მდე. აზერბაიჯანში ბიზნეს საქმიანობის მუდმივი გამოცოცხლება, რაც შედარებით ნაკლებია რუსეთის ფედერაციაში სავარაუდოდ შეამცირებს თურქეთში ღრმა შეფერხებით გამოწვეულ რისკებს. როგორც მოსალოდნელია, მთლიანი რეზერვები 2019 წელს 3.5 მილიარდ აშშ დოლარამდე, ხოლო 2020 წელს 3.8 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზრდება (გრაფიკი 3.3.11).


პროგნოზირებადი ვარდნის რისკი შესაძლოა გამოწვეული იყოს გარე შოკებით და სავაჭრო დაძაბულობის ესკალაციით, მკაცრი კრედიტორებით, გლობალური საპროცენტო განაკვეთების ზრდით, ფინანსირების ბაზარზე არსებული სირთულეებით ან შემცირებული კაპიტალური ხარჯებით. თუმცა, ზრდა შესაძლოა იყოს მოსალოდნელზე მაღალი, იმ შემთხვევაში თუ ძირითადი სავაჭრო პარტნიორებისთვის როგორიცაა აზერბაიჯანი და რუსეთი, პროგნოზი გაუმჯობესდება.

3.3.10. არსებული ბალანსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; ADB-ის შეფასებები

3.3.11 მთლიანი საერთაშორისო რეზერვი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge; საერთაშორისო სავალუტო ფონდი www.imf.org (ორივე საიტზე შესვლა 2019 წლის 7 მარტი); ADB-ის შეფასებები

პოლიტიკის გამოწვევა - უნარების განვითარება მაღალშემოსავლიან სფეროებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით

შედარებით მიმზიდველი ბიზნეს კლიმატის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა კვლავაც ნაკლებად დივერსიფიცირებულია, მისი ექსპორტი რამდენიმე პროდუქტზეა კონცენტრირებული და მშპ-ის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI), საქართველოსთვის კაპიტალის მნიშვნელოვანი წყაროა, დაბალი შიდა ინვესტიციებისა და შეზღუდული დანაზოგების გამო, რაც 2005 წლიდან 2018 წლამდე თითქმის სამჯერ გაიზარდა. თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად არსებულ შრომა-ინტენსიურ საქმიანობაზე მოდის, ვიდრე ეკონომიკის უფრო კომპლექსურ და შემოსავლიან სფეროებზე, როგორცაა მაგალითად წარმოება (გრაფიკი 3.3.12).

დივერსიფიცირებისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით დაბრკოლებას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რომელთაც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა უშვებს. შეზღუდული ცოდნისა და მომზადების მქონე მუშახელი რჩება დაბალი პროდუქტიულობის სფეროებში, როგორცაა სოფლის მეურნეობა, რაც იწვევს კვალიფიციური და მცოდნე კადრების ნაკლებობას წარმოებასა და სხვა საქმიანობებში, რომლებშიც პროდუქტის კომპლექსურობა უფრო დიდია. ასევე დივერსიფიცირების დაწერგვა დაკავშირებულია შედარებით მეტ ლოგისტიკურ ხარჯთან და იმპორტის კუთხით დოკუმენტურ შესაბამისობასთან.

3.3.12. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სფეროების მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური
<http://www.geostat.ge> (შეცვლა 2019 წლის 7 მარტი)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბევრი რამ გააკეთა მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შესაქმნელად, ის მაინც ჩამორჩება კვლევების ხელშეწყობისა და განვითარების, ასევე მუშახელის გადამზადების და ინოვაციების პოპულარიზაციის კუთხით. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2018 წლის ანგარიშში, საქართველომ 140 ქვეყანას შორის 66-ე ადგილი დაიკავა განათლების სისტემის ხარისხის მიხედვით და 85-ე ადგილი ინოვაციების შესაძლებლობების კუთხით. შეუსაბამო განათლების მქონე მუშახელი წარმოადგენს ბიზნესის კეთების ძირითად შეზღუდვას.

მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა მუშახელის უნარების კუთხით არსებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. 2018 წელს მთავრობამ შეიმუშავა ახალი და ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც მოიცავს განათლების ყველა დონეზე სწავლის ხარისხის გაზრდას. გარდა ამისა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ არაერთი რეფორმა განახორციელა, რომელიც მიზნად ისახავს საერთო და პროფესიული განათლების ინტეგრირებას ასოცირებული ხარისხის პროგრამების შექმნისა და პროფესიული მომზადების ხელშეწყობის მიზნით. სამინისტრომ შეიმუშავა სამუშაო ადგილზე სწავლების მოდელი და კერძოდ ჩატარებულ სასერთიფიკატო პროგრამებს სთავაზობს სახელმწიფო აკრედიტაციას. პროგრამა სახელწოდებით "ციფრული საზოგადოება" აფასებს შრომის ბაზარზე არსებულ ტენდენციებს და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ანალიზისა და ცვლილებების შეთავაზების უნარს. გარდა ამისა, მთავრობა მუშაობს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავებაზე ისეთი ინსტიტუტებისთვის,

რომლებიც სთავაზობენ ტექნიკურ და პროფესიული განათლებასა და ტრენინგებს, და ასევე სურს განახორციელოს ტექნიკური კოლეჯების მართვის აუტოსორსინგი.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიზანია მუშახელის უნარ ჩვევების განვითარება საინფორმაციო, კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების პოპულარიზაციის და მეცნიერებაში, ტექნოლოგიებში, ინჟინერიასა და მათემატიკაში ტრენინგების შეთავაზების გზით. იგი ხელს უწყობს ინოვაციური პროდუქტების განვითარებას, შემოქმედებითი პროექტების საწყისი დაფინანსებით და ხელს უწყობს უნივერსიტეტებსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობას კვლევისა და განვითარების მიმართულებით. აღნიშნული რეფორმები ეხმარება ელექტრონული ბიზნესისა და ელექტრონული კომერციის განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დივერსიფიკაციას.

კერძო სექტორის მეტი ჩართულობა ხელს შეუწყობდა მეწარმეების მომზადებას, რაც თავის მხრივ მეტ ქალს წაახალისებდა ბიზნეს საქმიანობაში ჩართვისაკენ.